სსრ კავშირის თასზე

12 და 13 მარტს გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები.

“არარატი” (ერევანი) – “დინამო” (თბილისი) 2:1 (1:1).

ერევანი. “რაზდანის” სტადიონი. 12 მარტი.

“არარატი”: ვასილიევი, პეტროსიანი, ქეროფვიანი, აშ. ხაჩატრიანი, გალსტიანი, პოღოსიანი, ვართაზარიანი (მელიქიანი), ოჰანესიანი, კასაბოღლიანი, ან. ხაჩატრიანი (მოვსესიანი), სააკიანი.

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი (ჭილაია), თავაძე (მუჯირი), დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, ჟვანია (ჩქარეული), ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: ე. შკლოვსკი (მოსკოვი).

თამაში დაიწყო მასპინძელთა შეტევით, რომელიც წარმატებით დამთავრდა: მე-2 წუთზე სააკიანმა მარცხენა ფლანგიდან მოაწოდა კუთხური, დინამოელთა დაცვა და მეკარე წამით შეფვერხდნენ, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა ან. ხაჩტრიანმა და თავით ზუსტად გაგზავნა ბურთი სტუმართა კარში – 1:0. მცირე ხანში ოჰანესიანის მიერ ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. ამის შემდეგ კი ინიციატივამ დიდი ხნით გადაინაცვლა თბილისელთა მხარეს. “არარატის” კართან შექმნილი რამდენიმე სახიფათო მომენტის შემდეგ, 23-ე წუთზე, შენგელიამ მიიღო სვანაძის გადაცემა და გაათანაბრა ანგარიში – 1:1.

მეორე ტაიმის დაძაბულმა ბრძოლამ ვერც ერთ მხარეს ვერ მოუტანა წარმატება. საჭირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშვნა. პირველი 15 წუთი კვლავ უშედეგოდ დამთავრდა. მეოთხე ტაიმში ერევნელებმა მარჯვენა ფრთიდან მოაწოდეს კუთხური, აქ ყველას დაასწრო სააკიანმა და თავით გაიტანა გადამწყვეტი გოლი.

“ლელო”, 14 მარტი, 1981 წ.